

სამგალობლო ტრადიცია გარეშში: ლიტურგიკული წყაროების ანალიზი

თამარ ჩხეიძე

საკვანძო სიტყვები: ქართული გალობა, დავით-გარეჯის მონასტერი, გერონტი სოლოლაშვილი, რომელი ქერაბინთა, დედან-ჰანგი.

დავით-გარეჯის მონასტერში XVII-XIX საუკუნეებში მდიდარი სამგალობლო ტრადიციის არსებობაზე, ისტორიული ცნობების გარდა, ჩვენამდე მოღწეული ამავე მონასტრის კუთვნილი ლიტურგიკული ხელნაწერები მეტყველებენ. ასეთ ხელნაწერს მიეკუთვნება საქართველოს ეროვნულ არქივში დაცული XIX საუკუნის დასაწყისით (1806) დათარიღებული ლიტურგიკული კრებული. კრებულში ჩართული „რომელი ქერაბინთას“ რვახმაზე დაფიქსირებული ჰანგი, თანდართული ნევმებით, ჭრელებითა და დედან-ჰანგებით, ადასტურებს კრებულის პრაქტიკულ დანიშნულებას და მონასტერში სამგალობლო-შემოქმედებითი პროცესების აქტიურ მიმდინარეობას. ამ პროცესების შედეგია ინდივიდუალური-შემოქმედებითი სტილების ჩამოყალიბება, როგორებიცაა „კილო ბიძინა არხიმანდრიტისა“, „კილო გერონტი სოლოლაშვილისა“, „კილო ტარასი არხიმანდრიტისა“, „კილო სოფრონ არხიმანდრიტისა“ და სხვა, რაც დადასტურებულია არაერთი წყაროთი და ბოლოდროინდელი გამოკვლევით.

ხელნაწერის შესწავლის და სხვა ლიტურგიკულ წყაროებში მოცემული რელევანტური საგალობლების კომპარატული შესწავლის საფუძველზე მოხსენებაში წარმოჩენილია გარეშში მოღვაწე სრულ მგალობელთა სამგალობლო-შემოქმედებითი მიდგომები და წარმოდგენილია ჩვენი მცდელობა, „რომელი ქერაბინთას“ რვახმათა ჰანგების გაშიფრვა-აღდგენისა.

6 აშრომი ეძღვნება ქართული გალობის ისტორიაში დავით-გარეჯის სამონასტრო სკოლის როლის გამოკვეთას და ამ კულტურულ კერაში სამგალობლო ხელოვნების განვითარების ტენდენციების მიმოხილვას, XVII-XVIII საუკუნეებში სამონასტრო კომპლექსში მიმდინარე კულტურულ-საგანმანათლებლო ცხოვრების კონტექსტში.

დავით-გარეჯის სამონასტრო სკოლა XVII-XVIII საუკუნეებში ქართული გალობისა და კულტურული ტრადიციების აღორძინების ცენტრია. VI საუკუნეში დაარსებული მონასტერი, მიუხედავად ის-

ტორიული განსაცდელებისა, განაგრძობდა სულიერ და საგანმანათლებლო საქმიანობას. ონოფრე მაჭუტაძის¹ მოღვაწეობით მონასტერმა კვლავაც შეიძინა კულტურული ლიდერის როლი და გააგრძელა ძველი სამწიგნობრო ტრადიციების განვითარება.

მონასტერში საკუთარი ლიტერატურული სკოლა და სტილიც კი ჩამოყალიბდა, რომლის თავისებურებების შესწავლა მეცნიერებმა ისტორიული წყაროების და ჩვენამდე მოღწეული ხელნაწერების შესწავლის საფუძველზე განახორციელეს.² სასიხარულოა, რომ ბოლო წლებში ინტენსიურად

¹ დავით-გარეჯის მონასტრის წინამძღვარი (XVII-XVIII სს.). XVII საუკუნის 80-იანი წლებიდან მონასტრის აღმავლობის პერიოდი მის სახელს უკავშირდება, რის გამოც წყაროებში გარეჯის მეორედ აღმშენებლად მოიხსენიება (ქავთარია, 1965).

² მენაბდე, ძველი, 1962; ქავთარია, დავით, 1965.

მიმდინარეობს საქართველოს ეროვნულ არქივში ხელნაწერთა განყოფილების თანამშრომელთა მუშაობა და შედეგად მომზადდა გარეჯული ხელნაწერების ახალი აღწერილობები, რაც გალობის ტრადიციის კვლევის ახალ შესაძლებლობებს გვცხადებს. მიუხედავად ბოლო წლებში განხორციელებული მნიშვნელოვანი კვლევებისა,³ გარეჯის სამგალობლო სკოლის თავისებურებები ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ შესწავლილი. მთავარი დამაბრკოლებელი გარემოება იმ წყაროთა სიმცირეა, რაც გალობის პრაქტიკის, სწავლების მეთოდების, ან მუსიკალურ-შემოქმედებითი თავისებურებების შესახებ გახდოდა შესაძლებელს საუბარს. ამ პირობებში ნებისმიერი ახალი ცნობის, მით უფრო ხელნაწერი წყაროს მიკვლევა მეტად მნიშვნელოვანია გარეჯის სამონასტრო სამგალობლო სკოლის ტრადიციების შესწავლისათვის.

ჩვენამდე მოღწეულია XIX საუკუნის ავტორთა მოსაზრებები, გადმოცემები, რომლებიც ზოგად წარმოდგენას გვიქმნიან მგალობელ-ჰიმნოგრაფთა საქმიანობაზე. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდიან იოანე ბატონიშვილი⁴ და პოლიევქტოს კარბელაშვილი⁵. „დაუვიწყარია ამაგი ამა უდაბნოსი საქართველოსათვის: არა ერთი და ორი ბრწყინვალე მოღვაწე აღიზარდა აქ სამოქმედოდ ეკლესიისა და მამულის დაცვისათვის. გიორგი მთაწმინდელის შემდეგ ათონის ივერიის მონასტერს ამა უდაბნომ ჩამოართვა ყრმათა აღზრდის საქმე საქართველოში... აი ეს ამოდენა ბინადრობა ბერ-მონაზონთა XVI საუკუნის გასულს სავსე იყო ღვთის მოსავთა კაცთა დასებით: აქ იყო დასი მგალობელთა, წიგნთა გადამწერალთა, ხუროთ მოძღვართა, ხელოვანთა, ღვთის-მეტყველთა, ყრმათა აღმზრდელთა და სხვა“.⁶ პოლიევქტოს კარბელაშვილი გვაწვდის ცნობებს გარეჯში მოღვაწე და გარეჯში აღზრდილი მგალობლების შესახებ.

ბოლოდროინდელი კვლევებიდან გამოვყოფთ გიორგი ბიძინაშვილის ნაშრომს,⁷ რომელშიც იოანე ნათლისმცემლის მონასტრის სამგალობლო

ტრადიცია სოფრონ არქიმანდრიტის გადმოცემული საგალობლების საფუძველზეა შესწავლილი. ნაშრომში მნიშვნელოვანი დასკვნებია გამოტანილი გარეჯული გალობის სტილური თავისებურებების შესახებ. ჩვენთვის ცნობილია, რომ დავით გარეჯის მონასტერში არსებობდა საგანმანათლებლო სკოლა, სადაც განვითარებული შუა საუკუნეების საქართველოში არსებული ტრადიციის მსგავსად, 7-დან 10 წლამდე მოსწავლეები მრავალმხრივ განათლებას იღებდნენ და მწიგნობარ-მგალობლებად ყალიბდებოდნენ. მონასტერში მწიგნობარ-მგალობელთა აღზრდაზე ზრუნავდნენ ბერები, რომელთაც „მოძღვრისა და მასწავლებლის“ მოვალეობის შესრულება ეკისრებოდათ.⁸

ჩვენი კვლევა მიემართება მონასტერში მუსიკალურ-შემოქმედებითი საქმიანობის შესწავლას და ხელნაწერთა ანალიზის საფუძველზე სამგალობლო პრაქტიკაში შემოქმედებითი საქმიანობის წარმოჩენას და დადასტურებას.

იოანე ბატონიშვილის ზემოხსენებულ ცნობაში დოდორქის მონასტერში მოღვაწე გერმანე ხუცეს-მონაზონის (+1748) შესახებ ნათქვამია: „ჩინებული მგალობელი ქართულთა ხმათა ზედა და ახალთა ხმებთა და კილოთა დამთხველი“.⁹ ჩვენთვის საინტერესოა ცნობის მეორე მონაკვეთი, სადაც ხაზგასმულია რომ გერმანე ხუცეს მონაზონი „ახალთა ხმებთა და კილოთა დამთხველი“ იყო. მონასტერში მიმდინარე აქტიური შემოქმედებითი საქმიანობის შედეგია ინდივიდუალური-შემოქმედებითი სტილების ჩამოყალიბება, რომელთა შორის წყაროებში გამოიყოფა „კილო ბიძინა არხიმანდრიტისა, გერონტი სოლოლაშვილისა, ტარასი არხიმანდრიტისა, სოფრონ არხიმანდრიტისა“ და სხვა.¹⁰

დავით-გარეჯის მონასტერში XVII-XVIII საუკუნეებში მდიდარი სამგალობლო ტრადიციის არსებობაზე ისტორიული ცნობების გარდა, ჩვენამდე მოღწეული ამავე მონასტრის კუთვნილი ლიტურგიკული ხელნაწერები მეტყველებენ. ჩვენი კვლევის არეალში მოექცა საქართველოს ეროვ-

3 ბიძინაშვილი, სამაგისტრო ნაშრომი, 2021.

4 ბატონიშვილი, შემოკლებით, 1984, გვ. 510; მენაბდე, ძველი, 1962, გვ. 31.

5 კარბელაშვილი, ქართული, 1898.

6 გაზეთი ივერია, №64, 1893.

7 ბიძინაშვილი, სამაგისტრო ნაშრომი, 2021.

8 ქავთარია, დავით, 1965, გვ. 119.

9 ბატონიშვილი, შემოკლებით, 1984, გვ. 510; მენაბდე, ძველი, 1961, გვ. 31.

10 კარბელაშვილი, ქართული, 1898.

ნულ არქივში დაცული XIX საუკუნის დასაწყისით (1806) დათარიღებული ლიტურგიკული კრებული N 1446/217.¹¹ ეს მეტად საინტერესო ხელნაწერი – ჰიმნოგრაფიული კრებული, ჩვენი ყურადღების ცენტრში მასში ჩართულ სამ ფურცელზე (34r-v 35r-ზე) არსებული ხანაწერის გამო აღმოჩნდა.

ხსენებული ხელნაწერი უნიკალურია იმ თვალსაზრისით, რომ ჩვენთვის აქამდე ნაცნობ წყაროებს შორის ერთადერთია, სადაც ერთდროულად, ნეკუმური დამწერლობით, ინციპიტით (დედან ჰანგზე მითითებით) და ტრელების სისტემით გამოცემა საგალობლის მუსიკალური ჰანგი. ამას გარდა, ხელნაწერში საგალობელი „რომელნი ქერაბინთა“ წარმოდგენილია რვახმათა სისტემით, რაც ასევე ქართულ წყაროებში ხსენებული საგალობლის რვახმათა ჰანგზე არსებობის ერთადერთ (ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით) შემთხვევას წარმოადგენს. შესაბამისად, ამ ხელნაწერის სამეცნიერო მიმოცევაში შემოსვლა კვლევის მეტად საინტერესო პერსპექტივებს სახავს.

ხელნაწერის მინაწერების ანალიზმა და დავითგარეჯის სამონასტრო სკოლაში მოღვაწე პირთა შესახებ ისტორიული ცნობების მოძიებამ და მათი საქმიანობის შესწავლამ (აქამდე არსებული კვლევის შედეგების გათვალისწინებით), საშუალება მოგვცა დაგვედგინა ხელნაწერის გადამწერის, ასევე ხელნაწერში არსებული მოგვიანო პერიოდის მინაწერების შინაარსი და მათ ავტორთა ვინაობა.

საქართველოს ეროვნულ არქივში დაცული ხელნაწერის N 1446/217 აღწერილობიდან ირკვევა: რომ ჰიმნოგრაფიული კრებულის (დათარიღებულია 1806 წლით) გადამწერია **იეროდიაკონი გერონტი** (236r), ხოლო გადამწერის ადგილი გარეჯის მრავალმთის მონასტერია (236r). ხელნაწერი ეროვნულ არქივში შემოსულია **პოლიევქტოს**

კარბელაშვილისაგან 1925 წელს (გურჯაანი). ხელნაწერის ძირითადი ტექსტი შესრულებულია 1806 წელს; და მოგვიანებით მასზე რამდენიმე ადგილზე პოლიევქტოს კარბელაშვილმა დაურთო ანდერძ-მინაწერები – მხედრულით.¹² ამ მინაწერთაგან განსაკუთრებულ ინტერესს იმსახურებს მონაკვეთი, რომელიც „ქერუბიმთა ჰიმნის“ რვახმათას მოიცავს და მინაწერი, რომელიც ამ საგალობელთა ტექსტებს მოსდევს: „ესე „რომელნი ქერუბიმთა“ გადმოვსწერე უმეტნაკლებოდ „ნათლისმცემლის მონასტრის“ საგალობლიდამ N66, რომელიც დაუწერია ახალ მოსწავლე პანტელეიმონს ჩღუგ (ესე იგი, 1793) – წელსა – აგვისტოს გ.“ (ესე იგი, 6 აგვისტოს). ეს მინაწერი კარბელაშვილს 1882 წლის 28 თებერვალს დაურთავს (დანართი 1).

ანდერძ-მინაწერის საშუალებით დამატებით ვიგებთ, რომ ხელნაწერი რომელიც წარმოადგენს იეროდიაკონი გერონტის გადაწერილ ჰიმნოგრაფიულ ტექსტს, მოიცავს კარბელაშვილის მიერ „ნათლისმცემლის მონასტრის“ „საგალობლიდამ“ N66 „უმეტნაკლებოდ“ გადმოღებულ მასალას, რომელიც დაუწერია ახალ მოსწავლე პანტელეიმონს 1793 წლის 6 აგვისტოს. ამრიგად, გაირკვა, რომ ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესო ხანართის პირველწყარო ყოფილა ახალ მოსწავლე პანტელეიმონის მიერ 1793 წელს ჩაწერილი საგალობლები.

კვლევის პროცესში გამოვარკვიეთ იეროდიაკონი გერონტისა და ახალ მოსწავლე პანტელეიმონის ვინაობა.

გარეჯის მონასტრის მოღვაწეთა შორის XVII-XVIII სს-ში ორი გერონტი გამოირჩევა. ერთი – არქიმანდრიტი გერონტი **მეფე ერეკლე II-ის კარის მოძღვარი**, ცნობილი მგალობელი და მრავალ მოწაფეთა აღმზრდელია;¹³ იოანე ბატონიშვილის თხზულებაში მის შესახებ ვკითხულობთ:

11 ხელნაწერი დაცულია საქართველოს ეროვნულ არქივში. მისი მოწოდებისთვის მადლობას ვუხდით ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს, ეროვნული არქივის ხელნაწერთა განყოფილების მეცნიერ თანამშრომელს, ქეთევან ასათიანს.

12 ხელნაწერის N 1446/217 აღწერილობა.

13 გარეჯის წმ. იოანე ნათლისმცემლის მოღვაწე გერონტი სოლოლაშვილი – ჯერ ბერ-დიაკვანი (1785), შემდეგ მღვდელ-მონაზონი (1791) და შემდგომ (1794) არქიმანდრიტის ხარისხში აყვანილი, თბილისის კარის წმ. გიორგის ტაძრის წინამძღვრად დაინიშნა, სადაც ერეკლე მეფის გარდაცვალებამდე იმსახურა. არქიმანდრიტი გერონტი აქტიურად მონაწილეობდა საეკლესიო-საგანმანათლებლო საქმიანობაში და მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართული საეკლესიო მუსიკისა და ჰიმნოგრაფიის განვითარებაში. გარეჯის წმ. იოანე ნათლისმცემლის მონასტერში ხელმძღვანელობდა სასწავლო საქმიანობას, სადაც ასწავლიდა გალობასა და მწიგნობრობას. აღზარდა მრავალი მოწაფე, მათ შორის შემდგომში წმინდანად შერაცხილი პირები – სახელოვანი მგალობელი და მწერალ-მწიგნობარი წმ. გერასიმე (ერისკაცობაში თავადი გერონტი სვიმონის ძე ვაჩნაძე), 1851 წ. ლეკთაგან გარეჯში წამებული და წმ. ილარიონ ახალი ქართველი (ერისკაცობაში აზნაური იესე ხახულის ძე ყანჩაველი), იმერეთის წმ. მეფე სოლომონ

„მღვდელ-მონაზონი ლეონტი სოლოლაშვილი: ესე იყო საფილოსოფოსო სწავლასა შინა გამოცდილი და მგალობლობასა შინა პირველი მგალობელი, რომელმან უწყოდა ვიდრე ხუთასამდის ჭრელი და სხვანი გალობანი. ამან განსწავლა მრავალნი მგალობელნი და კეთილად განვლო წელიწადი თვისნი“.¹⁴ ხოლო მეორე გერონტი - ღირს გარეჯელ მამებს შორის ერთ-ერთი მოწამე გერონტია. ხელნაწერში მოხსენიებული იეროდიაკონი გერონტი, როგორც გამოვავლინეთ, მომავალში არქიმანდრიტის ხარისხის მქონე ცნობილი მგალობელი, მრავალ მოწაფეთა აღმზრდელი გერონტი სოლოლაშვილი უნდა იყოს, რადგან ხელნაწერის შექმნის თარიღი (1806) მისი მოღვაწეობის წლებს (1757-1813) ემთხვევა. ამას გვაფიქრებინებს ისიც, რომ განთქმული მგალობლის გერონტი სოლოლაშვილის სახელს უკავშირდება არა მარტო მგალობელთა და სასულიერო პირთა აღზრდა-განათლება,¹⁵ არამედ წიგნადი ფონდის გამდიდრება, ხელნაწერთა გადაწერა¹⁶ და თხზულებათა შედგენა;¹⁷ და ამ საქმიანობაში გვერდით ედგა მისივე შეგირდი - იეროდიაკონი პანტელეიმონ ბეჟან მდივანბეგის ძე. შესაბამისად, გაირკვა, ისიც, რომ ხელნაწერში მოხსენიებული ახალ მოსწავლე პანტელეიმონი (ბეჟან მდივანბეგის ძე), გერონტი სოლოლაშვილის უმცროსი თანამედროვე და მისი შეგირდი უნდა იყოს. პანტელეიმონს კალიგრაფიული საქმიანობა XVIII საუკუნის

ბოლოს დაუწყია. გერონტი სოლოლაშვილის დავალებით მას 1792 წელს გადაუწერია „ძლისპირ-გულანი“ S 1360: „აღიწერა წიგნი ესე სძლისპირ-გულანი ჴელითა იეროდიაკონისა ბეჟან მდივანბეგის ზის პანტელეიმონისათა უდაბნოსა გარევისასა, მონასტერსა მრავალმთის ნათლისმცემლისასა“.¹⁸ ზემოაღნიშნული ანდერძი მოცემულია მიხეილ ქავთარიას ნაშრომში,¹⁹ სადაც პანტელეიმონის შესახებ სხვა ცნობა არ გვხვდება. ჩვენ მიერ განხილულ ხელნაწერში მოცემული კარბელაშვილის მინაწერიდან ირკვევა, რომ იმავე ტიპის საქმიანობა პანტელეიმონს შეუსრულებია 1793 წელს, სადაც რვახმათა „რომელი ქერაბინთა“ გადაუწერია“. და სავარაუდებელია, რომ ეს სამუშაოც გერონტი სოლოლაშვილის მითითებით შესრულებოდა. ამ ეტაპზე, „რომელი ქერაბინთა“ რვახმათას პანტელეიმონისეული პირველწყარო ჯერჯერობით მიკვლეული არ არის. კარბელაშვილის მინაწერის მიხედვით კი, ეს მასალა წარმოადგენს ასლს, გადმონაწერს ნათლისმცემლის საგალობელთა კრებულისა N66, „რომელიც დაუწერია ახალ მოსწავლე პანტელეიმონს“.²⁰

შეიძლება ჩავთვალოთ, რომ ჩვენ იეროდიაკონ პანტელეიმონის გადაწერილი საგალობლების შემცველი კიდევ ერთი ნუსხა გვაქვს. ამდენად, ეს ასლი დედნის მნიშვნელობას იძენს.

განვიხილოთ ხელნაწერი უფრო საფუძვლი-

II-ის მოძღვარი (ქავთარია, დავით, 1965; საპატრიარქოს უწყებანი, 2016, გვ. 19).

14 ბატონიშვილი, შემოკლებით, 1997.

15 მაგალითად, წმ. ილარიონ ახლის (ყანჩაველი) ცხოვრებიდან ირკვევა, რომ თავადმა გიორგი წერეთელმა, როდესაც აღსაზრდელში სულიერი საგნებისადმი განსაკუთრებული მიდრეკილება შენიშნა, მისი შემდგომი სულიერი და საგანმანათლებლო აღზრდა არქიმანდრიტ გერონტის (ერისკაცობაში თავად სოლოლაშვილი) მიანდო. გერონტი ცდილობდა მოწაფეში ლოცვისადმი სიყვარული გაეღრმავებინა და მკაცრი მონაზვნური დისციპლინით ზრდიდა. ილარიონი მოგვიანებით იხსენებდა მოძღვრის მკაცრ ასკეტურ ცხოვრებას, კერძოდ, ღამისთევის ლოცვაზე მწუხრიდან გათენებამდე დგომის პრაქტიკას, რომლის შესრულებასაც იგი თავის მოწაფესაც ავალდებულებდა. „იხილა რა თავადმა გიორგი წერეთელმა აღსაზრდელში სულიერი საგნებისადმი ძლიერი სწრაფვა, ცოდნის გასაღრმავებლად ჯრუჭის წმ. გიორგის მონასტერში მცხოვრებ არქიმანდრიტ გერონტის, ერისკაცობაში თავად სოლოლაშვილს მიანდო“ (საპატრიარქოს უწყებანი, 2016, გვ. 19).

16 გერონტი სოლოლაშვილი აქტიურად ეწეოდა საგალობელთა კრებულების გადაწერას: 1786 წელს გადაწერა სრული „სძლისპირი“, ხოლო 1788 წლით თარიღდება მის მიერ შესრულებული „ძლისპირნი საცისკრონი“ (Q-593), რომელიც სამწუხრო ძლისპირებსაც აერთიანებს და გადაწერილია მრავალმთის ნათლისმცემლის მონასტერში (საპატრიარქოს უწყებანი, 2016, გვ. 18-20; აბრამიშვილი, სამაგისტრო ნაშრომი. გვ. 40).

17 ცნობილია გერონტი სოლოლაშვილის იამბიკური ჰიმნოგრაფიული ტექსტები. აღსანიშნავია 1801 წელს შექმნილი თხზულება „ნაცვალსიტყვაობა“, რომელიც დოგმატურ-საღვთისმეტყველო საკითხებს კითხვა-მიგების ფორმით განიხილავს. წინასიტყვაობად ერთვის ავტორის მიმართვა ნინოწმინდელ მიტროპოლიტისა და ექვთიმე არქიმანდრიტისადმი. აღნიშნული ნაშრომი შექმნილია ქართველ სასულიერო პირთა განათლების ხელშეწყობის მიზნით (საპატრიარქოს უწყებანი, 2016, გვ. 18-20);.

18 ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, S კოლექცია, 1961, გვ. 173.

19 ქავთარია, დავით, 1965, გვ. 149.

20 ხელნაწერი N 1446/217.

ნად. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჰიმნოგრაფიული კრებულის ფურცლებზე (34r-35r) მოცემულია ლიტურგიის უმნიშვნელოვანესი საგალობლის „რომელი ქერაბინთას“ რვა ვარიანტი, რვა განსხვავებული ჰანგით. ჩვენთვის აქამდე ნაცნობ წყაროებს შორის იგი ერთადერთია, სადაც ერთდროულად, ნეგმური დამწერლობით და ჭრელების სისტემით გადმოიცემა საგალობლის მუსიკალური ჰანგი (დანართი 2).

ქართული გალობის ტრადიციაში დიდი შესვლის რიტუალის თანმხლები საგალობლის „რომელი ქერაბინთას“ მრავალი ნოტირებული ვერსია არსებობს, ჰანგის რამდენიმე ვარიანტით, სხვადასხვა სამგალობლო სკოლისა და სტილის (სადა, გამშვენებული, ჭრელი).

ამასთან, მკვლევრები აღნიშნავენ, რომ „დღესაც არ არის ბოლომდე შესწავლილი რომელი ქერაბინთასა და რვახმის სისტემის ურთიერთმიმართების თავისებურებები ქართული გალობის ტრადიციაში. დღეისათვის უცნობია, მიკუთვნებოდა თუ არა „რომელნი ქერუბიმთა“ და „დავითარცა“ 8 ხმის სისტემას შუა საუკუნეების ქართულ ლიტურგიკულ პრაქტიკაში“. ²¹ ამ სიტყვების ავტორი „რომელი ქერუბიმთას“ სანოტო ჩანაწერების ვრცელი, დეტალური მიმოხილვისას გვაწვდის საგულისხმო ცნობას: ²² „აღსანიშნავია, რომ სტ. კარბელაშვილის არქივში „რომელნი ქერუბიმთას“ ხსენებული ნიმუშების ხელნაწერები მოთავსებული იყო **ორად გაკეცილ ფურცელში, ავტორის მინაწერით: „რომელნი ქერაბინნი რვა ჳმაზედ და წმიდაო ღმერთოები“**. ასევე, აღსანიშნავია, რომ N193-218, „თვითხმოვანი ჰიმნების იდენტური, „რომელნი ქერუბიმთას“ ერთ-ერთ ბოლონაკლულ ხელნაწერში, სტ. კარბელაშვილს მითითებული აქვს, რომ იგი „ა“ ხმისაა“. მოყვანილი ფაქტებისა და ანალიზის საფუძველზე მკვლევარი აყალიბებს ვარაუდს, რომ „სტ. კარბელაშვილმა იცოდა (ან აპირებდა აღედგინა) 8 ხმის ხსენებული ჰიმნები; თუმცა, მისი მემკვიდრეობის ამ ნაწილიდან ჩვენამდე სამწუხაროდ, მხოლოდ რამდენიმე ნიმუში მოვიდა“.

ასე რომ, რვახმათას ვარიანტების არსებობა აქამდე, განხილული ხელნაწერის შესწავლამდე დადასტურებული არ ყოფილა. ამ მხრივ განსა-

ხილვენ წყაროს საეკლესიო მუსიკოლოგიურ სივრცეში სიახლე შემოაქვს.

ხელნაწერის საფუძველზე ჩვენ განვახორციელეთ კვლევა „რომელი ქერაბიმთა“-ს რვახმათა ჰანგების იდენტიფიცირების მიმართულებით და გამოვარკვიეთ:

ა) სხვადასხვა ხმაში საგალობლებს სხვადასხვა ნიშანი, სხვადასხვა ინციპიტი და „ჭრელები“ აქვთ; რაც ბუნებრივია რვა განსხვავებული ჰანგის აღსანიშნავად; წარმოდგენილ ცხრილში მოცემულია ჭრელებზე მითითება და ასევე აშიაზე არსებული მინაწერები ხელნაწერის მიხედვით. და ჩანს, რომ ერთი და იგივე სიტყვიერი ტექსტი საგალობლისა, შესაბამისად, განკვეთილია განსხვავებულად. (იხ. დანართი 2).

ბ) ხელნაწერის შესწავლამ კიდევ ერთი მეცნიერული ვარაუდის სისწორე დაადასტურა. მკვლევარი სვიმონ ჯანგულაშვილი აღნიშნავს, რომ ამ ჰანგის მქონე საგალობლები IV ხმას მიეკუთვნებიან (მიუხედავად იმისა, რომ დავით მოლოდინაშვილი და მიხეილ ელიზბარაშვილი სხვა ხმებს ასახელებენ, უფრო სარწმუნოდ კარბელაშვილის ვერსიას მიიჩნევენ). ამასთან აღნიშნავს, რომ სტ. კარბელაშვილისეულ ორ ხელნაწერში, ეს ჰანგი ჩაწერილია როგორც „რომელნი ქერუბიმთას“, ასევე, ხარების IX ძლისპირის - „კიდობანსა მას სჯულისასას“ სიტყვიერი ტექსტით.

განსახილველმა ხელნაწერმა დაადასტურა სვიმონ ჯანგულაშვილის ვარაუდის სისწორე. ჩვენ კი ხსენებული ჰანგთა ხმაზე მიკუთვნებულობის და საგალობლების ჰანგთა მიმართების თავისებურების ახსნის შესაძლებლობა მოგვცა.

ამრიგად, დ - ხმის „რომელი ქერუბიმთას“ თავზე ინციპიტად წაწერილია: „კიდობანსა მას სჯულისასას“ (იხ. დანართი 3). ხოლო სტ. კარბელაშვილისეულ ორ ხელნაწერში, ერთ ჰანგზე ორი სხვადასხვა სიტყვიერი ტექსტის „რომელნი ქერუბიმთას“, ასევე, ხარების IX ძლისპირის - „კიდობანსა მას სჯულისასას“-ს არსებობა აიხსნება ჭრელთა ნუსხებში „კიდობანსა მას სჯულისასას“-ს მოდელის ფიგურირებით. ²³ აქვე გასათვალისწინებელია იოანე ბატონიშვილის ცნობაც, სადაც იგი ჭრელს მიმსგავსებულ საგალობლებს შორის მოიხსენიებს „რომელნი ქერუბიმთასაც“:

21 ჯანგულაშვილი, ანთოლოგია, 2018, გვ. 19-20.

22 ახალი დასკვნების გამოტანა ძალიან გაგვიადვილა რომელნი ქერაბინთას ნოტირებული ვერსიების კონცენტრირებამ ერთ კრებულში, რომელიც შეიცავს ნოტირებული წყაროების დეტალურ ანალიზსაც.

23 ჩხეიძე, ქართული გალობის ჭრელები, 2022.

ლის გვარნი არიან თვით წირვასა ზედა გალობანი. ესე იგი, – „რომელი ხერუვიმთა“ და „ვითარცა“, „განიცადე“ მეორე კილო და სხვანი. ეგრეთვე არიან **ძღლისპირნი საცისკროთა და სამწუხაროთა და სერობის გალობათა შინა**, რომელნიცა მსგავსებენ ჭრელთა, რომელ არიან „შეძრწუნდა უბიწოსაგან სიტყვა მძლავრისა“, „ნუ მტირ მე, დედაო“ და სხვანი მსგავსნი ამათნი“.²⁴

გ) ხელნაწერზე მუშაობისას მოვახდინეთ ინციპიტად გამოყენებული ძღლისპირების იდენტიფიცირება, ქართულ ხელნაწერ წყაროებში,²⁵ მათ შორის ძღლისპირთა კრებულებში პარალელური ტექსტების დაძებნის გზით და ძალიან საინტერესო სურათი გამოიკვეთა (იხ. დანართი 4). როგორც სქემიდან ჩანს, „რომელი ქერაბინთას“ ყველა ხმას, განსხვავებულ დედან-ჰანგებზე მითითება გააჩნია. აღმოჩნდა, რომ „რომელი ქერუბიმთას“ რვახმის ნიმუშებზე მოდელეზად, დედან-ჰანგებად შესაბამებული ძღლისპირებიც, ძირითადად,²⁶ შესატყვისი ხმებისაა. მაგალითად: „რომელი ქერუბიმთას“ ა-ხმის ჰანგს შესატყვისება უფალო ღალად-ყყავის ა-ხმის ძღლისპირი – „ქრისტე კაცთმოყვარე“; „რომელი ქერუბიმთას“ გ-ხმის ჰანგს სტიქარონის გ-ხმის ძღლისპირი – „ქერაბინთა მიერ ქებული“, „რომელი ქერუბიმთას“ დ-ხმის ჰანგს ტაძრად მიყვანებისა და ხარების დ-ხმის ძღლისპირი „კიდობანსა მას სჯულისასა“ და ა.შ.

ზოგიერთი მათაგანი დღეს საღვთისმსახურო პრაქტიკის მიღმაა და ზოგიერთის სანოტო ვერსიებიც არაა შემორჩენილი. მაგრამ, მოდელად გამოყენების პრაქტიკის გათვალისწინებით, ჰანგის იდენტიფიცირება მაინც შესაძლებელი გახდა.

როგორ გაგრძელდება იდენტიფიცირების პროცესი? და რა შედეგთან მიგვიყვანს კვლევა? მოხდება ყველა ინციპიტის ჰანგის შესწავლა პირდაპირ, არ ირიბი გზით, რაც გულისხმობს ამავე დედან-ჰანგის მქონე მელოდიური მოდელეზების მოძიებას, თუ თავად დედან-ჰანგი არ მოგვეპოვება ნოტირებული სახით.

მაგალითისთვის წარმოვადგენთ სამომავლო კვლევის მეთოდოლოგიას. მაგ.: რომელი ქერაბიმთა-ს მე-7 ხმის ჰანგი განმარტებულია ინციპიტით – „ამაღლდა ზეცად“. ეს არის ამაღლების სამ-

წუხრო ძღლისპირი ხმა 7; ამ ძღლისპირის ნოტირებული ვერსია ჯერ არ არის მიკვლეული. თუმცა ჰანგის იდენტიფიცირების პროცესში ეს არ წარმოადგენს პრობლემას, ვინაიდან, იმავე დედან-ჰანგზე (მელოდიურ მოდელზე) სხვა პროსოდიის ნოტირებული ჰიმნები არსებობს. იგივე დედან-ჰანგი დასტურდება შეხვეტილიანის ციკლის ძღლისპირებად. მაგალითად: ანალოგი ჰანგი არის შეხვეტილიანის 5 დასდებელში. მაგალითად: მე-ნ აღსავლის I და II დასდებლებში (მაგალითად: „დღეს ჯვარსა შემსჭვალეს“).²⁷

როგორც კვლევამ აჩვენა, 1-ელი, მე-3, მე-6 და მე-7 ხმებში სტიქარონის ძღლისპირებია მისადაგებული, ხოლო მე-2, მე-4 და მე-8 ხმებში საცისკრო ძღლისპირების ჰანგები. რა პრინციპით და რატომ არის შერჩეული ეს ძღლისპირები ჯერჯერობით უცნობია, თუმცა იმედი გვაქვს, შემდგომი კვლევა ამ საკითხსაც მოჰფენს ნათელს.

ერთი რამ ცხადია, გარეჯის სამონასტრო სკოლა აგრძელებდა და შემოქმედებითად ავითარებდა ცნობილ ძღლისპირებზე ახალი საგალობლების შეთხზვის, ჰანგის მორგების იმ ძველ ტრადიციას, რომელსაც ქართველი ჰიმნოგრაფები ფლობდნენ შუა საუკუნეებში. „ახალთა ხმებთა და კილოთა დათხზვა“ დავით გარეჯის სამგალობლო სკოლის პრაქტიკაში განხილული ხელნაწერით დადასტურებული ფაქტი გახდა. თუ გავითვალისწინებთ ნათლისმცემლის მონასტერში გერონტი სოლოლაშვილის მოღვაწეობის არეალს და მასშტაბებს, ასევე, საგალობელთა გადაწერის, პანტელეიმონის მონაწილობას საგალობლების გადაწერის პროცესში, ხელნაწერში ჩართული რვახმითა ავტორად არქიმანდრიტი გერონტი სოლოლაშვილი შეიძლება მივიჩნიოთ.

ამრიგად, საქართველოს ეროვნულ არქივში დაცული ხელნაწერის შესწავლამ და სხვა ლიტურგიკულ წყაროებში მოცემული რელევანტური საგალობლების კომპარატულმა კვლევამ საშუალება მოგვცა წარმოგვეჩინა გარეჯში მოღვაწე სრულ მგალობელთა სამგალობლო-შემოქმედებითი მიდგომები და დაისახა პერსპექტივები „რომელი ქერაბინთას“ რვახმათა ჰანგების გაშიფრვა-აღდგენის მიმართულებით.

24 ბატონიშვილი, კალმასობა, 1991, გვ. 521-523.

25 ხელნაწერები: Q 690:210, Q 693:77, H154\8:210; Sin 1, A-603 (იორდანეს ძღლისპირთა კრებული).

26 კანონზომიერება გარკვეულად დარღვეულია ბ-ხმის „რომელი ქერუბიმთას“ შემთხვევაში, რადგან მას შესაბამება მე-5 ხმის ძღლისპირი „მამისაგან შობილი“, თუმცა იგი ბ-გვერდ ხმას წარმოადგენს.

27 სამხარაძე, რვახმის, 2020, გვ. 22-37.

გამოყენებული ლიტერატურა:

- აბრამიშვილი გ., სამაგისტრო ნაშრომი: სტიქარონთა ძლისპირები ქართულ ლიტურგიკულ პრაქტიკაში, თბ., 2023.
- ბატონიშვილი იოანე, კალმასობა, წიგნი II, თბ., 1991.
- ბატონიშვილი იოანე, მცირე უწყებანი ქართველთა მწერალთათვის XVI-XIX სს, თბ., 1982.
- ბატონიშვილი იოანე, შემოკლებით აღწერა საქართველოს შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარებისა, თბ., 1997.
- ბიძინაშვილი გ., სამაგისტრო ნაშრომი: გარეჯის იოანე ნათლისმცემლის სახელობის მონასტრის სამგალობლო სკოლა, თბ., 2021.
- ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ტ. 4, თბ., 1973.
- თაყაიშვილი ექვთ. (რედ.), ძველი საქართველო, ტომი 1, ტფ., 1909.
- გაზეთი ივერია, თბ., №64, 1893.
- კარბელაშვილი პ., ქართული საერო და სასულიერო კილოები, ისტორიული მიმოხილვა, ტფ., 1898.
- კეკელიძე კ., ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 1, ძველი მწერლობა, თბ., 1960.
- მენაბდე ლ., ძველი ქართული მწერლობის კერები, ტ. 1, 1962.
- მეტრეველი ელ., (რედ.), ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების (S) კოლექციისა, ტ. II. 1961.
- სამხარაძე ნ. (მონაზონი), რვახმის სისტემის ფუნქციონირების პრინციპი „შეხვეტილიანის“ ძლისპირებში. კრებულში „სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებების კრებული“, გიორგი გარაყანიძის სახელობის ფოლკლორული და სასულიერო მუსიკის ბათუმის მე-15 საერთაშორისო ფესტივალი, ბათ., 2020. გვ. 22-37.
- საპატრიარქოს უწყებანი, №22, 23-29 ივნისი, თბ., 2016.
- ქავთარია მ., დავით გარეჯის ლიტერატურული სკოლა, თბ., 1965.
- ჩხეიძე თ., ქართული გალობის ტრელები, თბ., 2022.
- ჯანგულაშვილი ს., ვეშაპიძე ლ. (რედ.), ქართული გალობის ანთოლოგია, III ტომი, თბ., 2018.

ხელნაწერები:

- S 1360. ძლისპირ-გულანი. საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი;
- Q 690:210, Q 693:77, H-154\8:210. ნოტირებული საგალობლები. საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი;
- A 603 (იორდანეს ძლისპირთა კრებული). საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი;
- Sin 1. ამერიკის კონგრესის ბიბლიოთეკა, ხელნაწერთა ფოტოფირები;
- N 1446/217. ჰიმნოგრაფიული კრებული. საქართველოს ეროვნული არქივი.

SACRED CHANT TRADITIONS IN GAREJI: ANALYZING LITURGICAL SOURCES

Tamar Chkheidze

Keywords: Georgian sacred chant, David Gareji Monastery, Geronti Sologhashvili, Cherubic Hymn, original source tune/ melodic prototype.

Besides historical accounts, the David Gareji Monastery's surviving liturgical manuscripts also speak to the abbey's rich sacred chant traditions in the 17th–18th centuries. These manuscripts include a liturgical collection dated the early 19th century, namely 1806, and currently preserved at the National Archives of Georgia. The presence of neumes, *chreli* (ornamented) notations, and original source tunes (melodic prototypes) for the Cherubic Hymn in eight modes, as found in this collection, confirm the compilation's practical purpose and the monastery's active efforts toward performing and composing sacred chants. These processes eventually brought about the emergence of such individual artistic styles as *Archimandrite Bidzina's mode*, *Geronti Sologhashvili's mode*, *Archimandrite Tarasi's mode*, *Archimandrite Sopron's mode*, and others—as attested to by more than one source and recent study. Based on the comparative study of the manuscript's foreword and relevant sacred chants from other liturgical sources, this article highlights artistic approaches to sacred chant employed by Gareji's career chanters, also setting forth our attempt to decipher and restore the Cherubic Hymn's eight-mode tunes.

This work seeks to bring to the fore the role of the David Gareji monastic school in the history of Georgian sacred chant, also reviewing the developmental trends of the art of sacred chant in this cultural hub in the context of the cultural and educational life of the monastic complex in the 17th–18th centuries.

In the 17th–18th centuries, the David Gareji Monastic school served as a hub for the revival of Georgian sacred chant and cultural traditions. Founded in the 6th century, the monastery pressed on with its spiritual and educational work in defiance of historical hardships. Thanks to the efforts of Onophre (Onuphrius) Machutadze¹, the monastery regained the role of a cultural torchbearer and continued the development of ancient literary traditions.

The monastery went so far as to develop its own school and style, with modern historians studying its individual characteristics based on historical sources and surviving manuscripts.² Thankfully, the employees of the manuscripts department at the National Archives of Georgia have been involved in intensive work that has resulted in the creation of new descriptions of Gareji manuscripts, in this way offering new opportunities for delving into sacred chant traditions. Despite formidable researches conducted in recent years³, the peculiar features of the David Gareji school of sacred chant have yet to be studied duly. The main obstacle to that end is lack of sources clarifying sacred chant practices, teaching techniques, or musical and creative characteristics. Consequently, obtaining any new infor-

1 The abbot of the David Gareji Monastery (17th–18th cc.). The monastery's rise since the 1680s is linked to his name, explaining why sources frequently laud him as the Rebuilder of Gareji (ქავთარია, 1965).

2 მენაბდე, ძველი ქართული მწერლობის კერები, 1962; ქავთარია, დავით გარეჯის ლიტერატურული სკოლა, 1965.

3 ბიძინაშვილი, სამაგისტრო ნაშრომი, 2021.

mation, especially manuscripts sources, is of crucial importance for studying the traditions of the David Gareji school of sacred chant.

